№ 157 მკათათვე 27, ხუთშაბათი 1889 მკათათვე 27, ხუთშაბათი № 157

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ასაბლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ტფილელ ვაჭარს განზრახვა აქვს გამოჰფინოს კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე თავისივე მოგონილი მაშინა, რომლითაც თურმე შესაძლოა ტივის ხეების ამოზიდვა მტკვრიდგან. ამ ვაჭრის სიტყვით, მაშინისათვის საკმაოა ერთი ცხენიო.

*** 21-ს ამ თთვისას, ალექსანდრეს ქუჩაზე, ტერ-ნიკოლოსოვის სახლში, ორს დედაკაცს, სახელდობრ დარია პრონს, ჯარის-კაცის ცოლსა, და ირინა ერმალოვისას, ლაპარაკის დროს ჩხუბი მოსვლიათ და იმ ზომამდე გაანჩხლებულან, რომ დარია პრონს აუღია ხელში დიდი კარის კლიტე მაგრად დაუკრავს თავში ერმოლაევისთვის და თავი გაუჩეხია. პოლიციამ ერმოლაევისა სამკურნალოში გაგზავნა. ექიმს უთქვამს, რომ ამისი მორჩენა საეჭვოაო. დარია პრონი შეპყრობილია.

*** ამ ჟამად ქალაქის სამკურნალოში მრავალი ავადმყოფი დაიარება, მაგრამ ბევრი მათგანი უწამლელად და უშემწეოდ ბრუნდება უკანვე. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ის უნდა იყოს, რომ ზოგიერთი ექიმი, რომელიც მცირეოდენს დროს ანდომებს ამ კეთილს საქმეს წასულა ქალაქ გარედ სააგარაკოდ, და ამიტომ დანარჩენთ ხშირად ოცზე მეტი ავადმყოფი ჰყავსთ გასასინჯი. ესენიც ავადმყოფს უკანვე აბრუნებენ, რადგანაც ვერა სწვდებიან. ამიტომაც ფრიად საჭიროა ქალაქის გამგეობამ რაიმე ღონე იღონოს, რომ სამკურნალოდგან უშემწეოდ და უწამლელად აღარ ბრუნდებოდეს ის საწყალი და ღარიბ-ღატაკი ხალხი, რომელსაც სხვა საშუალება აღარა დარჩენია-რა.

*** სოფ. გოდოგანი (ქუთაისის მაზრა): ქ. ქუთაისიდგან, აღმოსავლეთით სამის ვერსის მანძილზე, სძევს სოფ. გოდოგანი. ორის მხრით საზღვრავს მდ. წყალ-წითელა და ერთის მხრით ქ. ქუთაისი. ეს სოფელი მდებარეობით ვაკეა, ორს გორას შუა მომწყვდეული. მცხოვრებლები რიცხვით ას სამოც კომლამდეა. აზნაური და გლეხი აქეთ-იქით არიან გაფანტულნი, ხალხი საზოგადოდ ზარმაცი და ღარიბია. სარჩო რომ აღდგომამდე მიჰყვეს კარვი წყალობაა, ისეც სიმინდი, თორემ ღვინო ხომ რვა ენკენისთვეს თავს დაგიკრავთ და ისე გამოგესალმებათ. ეს დღე არის ამ სოფლის დღესასწაული—ღვთისმშობლობა. ვისაც ორი ძირი ვაზის ხე აქვს, დაჰკრეფს დაუმწიფებელს ყურძენს და დააყენებს ტკბილ მაჭრის მაგიერ ისერიმს, რომელსაც დაუმაჭრებლადვე გადუშვებს მოუკუპრავს ტიკში. სიზარმაცეს თან დასდევს ერთგული და განუშორებელი მეგობარი სიღარიბე. მთელი ეს სოფელი ნახევრობით თითქმის ყოველ-დღე ქუთაისში დაძრწის. კვირა-უქმე დღეს რომ ეკლესიაში შეხვიდეთ, მღვდლისა და დიაკვნის მეტს ვერავისა ჰნახავთ. გათენდება დილა თუ არა, ზოგს კვერცხი მიაქვს, ზოგს ქათამი მიჰყავს, ინდოური, ბატი, შეშა, ჩალა, ზოგს ფული, რომ სადმე დუქანში ბახუსი მოიკითხოს, და გარბიან ქუთაისისაკენ. ჩაიტანენ თუ არა ქუთაისში ამებს, გაჰყიდიან, შევლენ იქვე დუქანში და ერთს ლოთიანად გადაჰკვრენ. შემდეგ აივლ-ჩაივლიან ქუთაისის ქუჩებსა და შუა-ღამეზე ბრუნდებიან შინ. ასე და ამ ნაირის თრევით იმ დროს, რომელიც სამუშაოდ და ლუკმა მჭადის მოსაყვანად უნდა მოეხმარა გოდოგნელს, ჰკარგავს და სთესავს ქუთაისისა და გოდოგნის გზებში. ერთის სიტყვით, პირჯვრის საწერად გახდომია აქაურს მცხოვრებელს ქუთაისი. რისთვისა გვაქვს გაუქმებული პარასკევი? ნუ თუ კვირაში ერთი დღე საკმარისი არ არის, რომ ქალაქში ჩავიდეთ და ყოველივე მოვისაქმოთ? ღმერთმანი, ვერ გამიგია! ერთის დღის-კი არა, ზოგიერთს სრულებით არაფერი საქმეც არა აქვს, მაგრამ: „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო“, ამბობს ქართული ანდაზა. რა ჰქნას, რომ მიეჩვია ასე თრევას.

ამ სოფელში იყო ერთი პატარა ეკლესია რომელშიაც თხუთმეტი კაცი ძლივს თავსდებოდა. ეს ეკლესია, როგორც გამიგონია ძველებისაგან, დავით აღმაშენებელის დროის აგებულიაო. როდესაც ის გელათს აშენებდაო, იმისი ჯოგი (ცხენის) გოდოგანში იკვებებოდა, ამ ჯოგის მწყემსებს საქმე არა ჰქონდათ და ეს ეკლესია აავესო (გელათი ერთის ვერსით არის დაშორებული ამ სოფელზე). იმ დროიდგან აქამომდე გვემსახურა და ბოლოს, როდესაც იფიქრეს, რომ საკმაო არ არისო, ახალი ეკლესია დაიწყეს და კიდეც ააგეს. ეს ძველი ნაშთი გაუშვეს ისე უპატრონოდ. ხომ მოგეხსენებათ, იტყვიან—უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესიაო, ამ ეკლესიას დაესია კიდეც ყველაფერი, ცხვარი, თხა, ღორი და სხვა. ეხლა ძველმა ნაშთებმა და ეკლესიებმა დიდი ყურადღება მიიქციეს და ნუ თუ ამ ეკლესიას პატრონი არავინ გამოუჩნდება, ან ბერი, ან მღვდელი და ან ერი, რომ მიხედოს ამ წმინდა შენობას, რომელმაც რამდენიმე ასი წელიწადი გასძლო?

ძველი ეკლესია-კი არა, ახალს ეკლესიას, რომელშიაც რვა წელიწადი მეტი წირვა არის, ერთი მეოთხედი კედლისა კირით შეულესავი დარჩენია და კაცი არ არის მიხედოს.

*** შორაპნის მაზრა: ეს ერთი წელიწადია, რომ ნამეტნავად გავრცელდა შორაპნის მაზრაში კაცის კვლა, ქურდობა და ავაზაკობა. ყვირილაზე მობმულ ლოსიანთ ხევში ამ ერთ თთვეში მოხდა შემდეგი ამბავი: ხუთი ცხენი მოიპარეს, გაქურდეს გლეხი ს. კ—ლი; მესამე ღამეს გაქურდეს იმისივე მეზობლის ქვრივი ი. კ—ლისა, წაიღეს ტანსაცმელი, ქვეშაგები და 30 მანეთი ფული; მეოთხე ღამეს გლეხს გ. ქ—ძეს მოჰპარეს ოთხი ჩაფი ღვინო.

ამათივე მეზობლები გლეხნი ა. და პ. ნ—შვილები გაემგზავრნენ ხარ-ურმით შავის ქვის მადანზე. შეიტყეს ბოროტმა კაცებმა, რომ ამ ორს გლეხს სახლში დარჩათ მარტო ცოლებიო პაწია ბალანებითურთ, და 16-ს ამ თთვისას, ღამის ორს საათზე, შეუხტნენ საწყლებს სახლში აზნაურნი ლ. მ—ნი და ა. ლ—ძე და ორი გლეხი გურეშიძეები. ერთი ძუძუ მაწოვარი ქალი გაექცათ ტყეში და მეორე-კი შეიპყრეს და ბარბაროსულად აწვალეს და გააუპატიურეს. მეორე დღეს გაქცეული ქალიც მოვიდა სახლში და თავისი ძუძუ რა ვაჟი მკვდარი დახვდა აკვანში. ორი პატარა ბავშვი და გაუპატიურებული დედა დღეს ცოცხალ-მკვდარნი არიან შიშის გამო, როდესაც მოვიდნენ გლეხები მკვდარი და ცოცხალიც,—ყველა სატირლად დაუხვდათ, მაგრამ, ვისგანაც რიგია, შემწეობა და ნუგეში ჯერაც არ მიუღიათ. ზემოხსენებული აზნაურები ამ გვარ ავაზაკობასა და ქურდობას ხშირად სჩადიან, მაგრამ ერთი გაბერილის სახელოვანის აზნაურის წყალობით ყოველთვის თავსა ჰშველიან.

## ფელეტონი

### ტრედები

(დასასრული*)

მინდვრის მიწურულში დიდი მთა მოსჩანდა. შუა წელიდამ თხემამდე მთა თეთრის თოვლით იყო გალესილი... დაბლა კალთები-კი ამწვანებული ჰქონდა. ტრედები ამ მთას ვერ აუქცევდნენ გზას, ეს მთა უნდა გადაევლოთ აუცილებლად. მინდვრის ბოლოს რომ გავიდნენ, სანამ მთას შეუდგებოდნენ, ძირს ბარდიანი ჭალა იყო და იქ დაისვენეს... ტყიდამ გამოჩნდა თავ-მომწონე, კალთა განიერ შლიაპით მონადირე. წინ ძაღლი მოუძღოდა. თავი ძლიერ მოსწონდა ვაჟკაცს, თუმცა-კი ერთის ტოროლას მეტი ჩანთაზე არაფერი უჩანდა. მოეპარა ტრედებს და მოაწოდა თოფი. ორივე ლულიდამ ესროლა, მაგრამ ტრედებთან არაფერი მივიდა. ტრედებმა სისინით თავზედ გადუარეს შერცხვენილს მონადირეს და ნახევარ მთაზე ავიდნენ. ამ დროს თხემი მთისა გაიბურა ნისლით, დაუცადეს ნისლის აყრას, კლდის კინჩუხზე დასხდნენ... გამხმარი ბრძამი და ქუჩი ეკიდა აქა-იქ იმათ წინ. უცხო ხმა შემოესმათ, ცის ჭექას ჰგვანდა, ლაწალუწი ისმოდა იმათ დაბლა კლდეოებით, ქანჩაცებით გაჭედილს მიდამოში; კლდეები გამოხმობას აძლევდნენ, ხმას უფრო აძლიერებდნენ. შვილი-ტრედი გაოცებით ყურს უგდებდა ამ ხმაურობას.

— ჯიხვებია, შვილო, სთქვა დედა-ტრედმა.

— მერე რით გამოსცემენ ეგენი ეგრეთს ხმაურობას? ჰკითხა შვილმა.

— დამფრთხრები არიან. ვიწროს ადგილს შეიყარნენ ალბად, გასავალი აღარა აქვთ და ერთმანეთზე გადადიან. რქებს ახვედრებენ ერთმანეთს და ლაწა-ლუწი იმისაგან არის.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მიზეზი ჯიხვების დაფრთხობისა თავზე წასდგომოდათ. ეს იყო მონადირე სულ სხვა ჯურისა. ტანზე ეცვა ჯიხვის ტყავი, თავზედაც ნადირის ჩამოფხატული ქუდი ეხურა, ფეხებზედ წრიაპებით გამართული ბანდულები. იგი ქუჩზე და კინწუხებზე ხელის კიდებით მიებლატებოდა და ხელში შესალტული თოფი ეჭირა. მონადირემ სრულიად ყური არ ათხოვა ტრედებს, თავის გზას გაუდგა... მონადირე მიეშურებოდა ჯიხვებისათვის გზა შეეკრა, რომ სიმაგრეში არ შეესწროთ. ტრედებმა შენიშნეს, რომ მონადირე იმათ სამტროდ არ მოდიოდა, და არ აფრინდნენ.

— რა კეთილი კაცი ყოფილა, დედი, თოფი ხელში ეჭირა და ხმაც არ გაგვცა, სთქვა შვილმა-ტრედმა.

— ეგ სხვა მონადირეა, შვილო, და ისინი სხვანი არიან, რომლებიც ჩვენ გვემტერებიან. ეგ ჩვენზე თოფს არ დასცლის. მაგან იცის, რომ ჩვენის მოკვლით ვერაფერს ირგებს და ცოდვას-კი დიდსა სჩადის... სხვებმა არ იციან და არც დასდევენ სარგებლობას. იმათ სისხლი უყვართ, ჩვენი მოკვლა ვაჟკაცობად მიაჩნიათ...

ჯანღი აიყარა. წვერი მთისა უდიერად თეთრად აყუდებული გამოჩნდა, მზეზე ვერცხლივით ლაპლაპებდა. დედა-შვილებმა გასწიეს და მთა მალე გადაელეს. მთის იქით სურათი სრულიად გამოიცვალა. დიდი მდინარე მოდიოდა, მშვენიერი ჭალა გამოჩნდა, სოფელი სოფელზე იყო მობმული, ბაღები ბაღებზე ასხმული; სიცოცხლით სავსე იყო ეს არე-მარე, სად ცხვარი და ძროხა იყო დაფენილი და გაჩაღებული სალამურის ხმა ისმოდა, სად—კივილი, მღერა და ხმაურობა. სად ურემს მიაჭრიალებდნენ კამბეჩები ზანტად, ზლაზვნით, კუდის შემოქნევით. ბაღებში მუშაობა გაჩაღებული იყო. დიდი და პატარა გამოფენილიყო მინდვრად და აჭრელებინათ აჭრელებულ-ამწვანებული ველები. წყალს პერანგიანი მებადური დამკლავებული მისდევდა. გაღმა ნაპირზე ღორეზე რამდენიმე კაცი მოათრევდა მოსასმელს ბადეს. სოფლის გოგო-ბიჭებს დაეწნათ გვირგვინები, დაეკრიფათ ბლომად ყვავილები და სოფლისკენ მღერით მიდიოდნენ. ტრედებმა თავზე გადაუარეს. მგზავრების თვალები ტრედებს მიეპყრა და გაისმა: „ტრედები, ტრედებიო!“

ტრედები ჭალაში შეფრინდნენ და ერთს ხეზე დასხდნენ...

— ოჰ, ძლივს არ დამისვენდა გული, სთქვა დედა-ტრედმა და თან ამოიკვნესა.

— რაღად ამოიკვნესე? ჰკითხა შვილმა.

— აგერ ის წვერ-ხმელი მაღალო რომ სდგას, იმაზედ დაიჭირა ქორმა დედაჩემიო, უპასუხა დედა-ტრედმა და თან ამოიკვნესა. ბევრს ვეცადენით დაგვეგდებინებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ღმერთმა უშველოთ, ასამდე მერცხალი დაეცა თავზე, მისდევდნენ მუდარით, ხვეწნით, ტირილით ქორსა, მაგრამ ამაოდ. წაგვართვა, წაიღო, იმ მზე-დასაბნელებელმა. აგერ კიდევ აიმ ბოგირზე ერთმა კაცმა მეორე კაცი მოჰკლა. მე მანამდე არ ვიცოდი, თუ კაცებიც ერთმანეთსა ჰხოცავდნენ. მოჰკლა ცქრანტმა კაცმა ერთი დიდის ტანისა და სქელ-ფაშვიანი კაცი იმავე იარაღით, რომლითაც ჩვენა და ჩვენს ძმებს გვდევნიან მოსაკლავად.

შვილი სულ-განაბული ყურს უგდებდა დედას.

— ეხლა ჩვენი ბინა შორს აღარ არის, განაგრძო დედა-ტრედმა. ვინ იცის, როგორ დაგვიხვდება, იქნება ჩვენი ქორაფი აღარც-კი იდგეს იქა? იქნება მოსჭრა კაცმა და წაიღო შეშად, იქნება ქარმა გადააქცია. ჩვენი ბუდეც ხომ დაიქცეოდა და დაიშლებოდა სულ ერთიანად. ვინ იცის, იქნება ელვამ დაჰკრა და დაარღვია?! დედა-ტრედს გული თავის ბუდესთან მიურბოდა.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ჩაჩაჩუჩი მოესმათ და დაბლა დაიხედეს: მელი მობრძანდებოდა, ღმერთს მოწყალება მოელო მელის თავზე, ერთი ღალღა ეშოვნა, პირში ეჭირა და მიჰქონდა. მეტად კმაყოფილის სახის გამომეტყველება ჰქონდა მელს, ეს ღალღა მეტის-მეტად ალაღებდა. ულვაშები კოხტად აებზიკა, ერთი ულვაში ღალღას ფეხებზე ხვდებოდა, მეორე-კი თავზე. მელი ძლიერ თავმოწონებით იყო, თავი კეისარი ეგონა. ცბიერს, მელურს, გაიძვერა თვალებს აძვრენდა კიდეც ჯაგებში და ბალახებში: კიდევ უნდოდა შესაჭმელი რამ ეპოვნა. ტრედებს გაეცინათ მელზე. მელმა აიხედა, ტრედების კასკასი რომ გაიგონა, ტრედები დაინახა და შენიშნა, რომ იმაზე იცინოდნენ. ცოტა არ იყოს მელმა იწყინა.

— ხრჩობაო, სთქვა მელმა და ღალღა ფრთხილად ფეხებთან დაი-

*) იხ. „ივერია“, № 156.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ით გაზერილს აზნაურს დიდი გავლენა აქვს და იმის წყალობით ბევრი ავაზაკი და ქურდი თავისუფლად დასეირნობს შორაპნის მაზრაში.

⁂ ჯავის ხეობა: არა გვგონია სხვა რომელიმე მხარე იყოს ისე უყურადღებოდ მიტოვებული, როგორც ჩვენი ხეობა. ასე გასინჯეთ, რომ არც ერთი ხეირიანი გზა და ხიდი არა გვაქვს, თუ რომ ვინმემ ისურვა ამ ხეობაზე გამოსეირნება, ჯერ პარაკლისი უნდა გადაიხადოს და მხოლოდ შემდეგ გაუდგეს გზას. ისე ფეხს ვერ გადაადგამთ, რომ რაიმე ხიფათს არ შეემთხვიოთ. ნახევარზე მეტი გზა ცხენის ზურგით უნდა ატაროთ. ხიდებზე, ანუ ბოგირებზე ხომ ფეხის შედგმაც საშიშია. იყო დრო, სახელდობრ ამ ოც-და-ათის, ოც-და-თხუთმეტის წლის წინად, როცა ცხინვალიდამ დაწყებული სოფ. როკამდე კარგი საურმე გზა იყო, მაგრამ უყურადღებობამ ეს ძველი გზა მოშალა და ახლაღა არ გასწორა; ის ძველი გზა, ალაგ-ალაგ დღესაც მოსჩანს. საქმის მოთავე რომ ვინმე იყოს, მაგალითად, ადმინისტრაცია, გზას ერთის თვის განმავლობაში გაიყვანენ მცხოვრებნი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყურისმგდებელი არავინ არის.

⁂ სოფ. როკა (ოსეთი, გორის მაზრა): მეტი არ იქნება, ოსეთის სამღვდელოების გაჭირებული მდგომარეობა გაცნობოთ. ამ მღვდლებს ნამეტანი გაჭირება იმის გამო აქვთ, რომ იშვიათად იპოვით ცოტათი მაინც რიგიანს მღვდლის სადგომს სახლს. სამღვდელოების სახლები სულ ძველის-ძველია, დანგრეული, ან ისეა აშენებული, რომ ერთი სულის შებერვაც ეყოფა, ნამეტნავად საშიშოა როკისა და კოშკის მღვდლების სახლები.

⁂ დიდი ხანია ხმა დადიოდა, რომ მწყემსის რედაქტორს დეკანოზს მამა დ. ღამბაშიძეს განზრახვა აქვს თავისი გაზეთი ტფილისში გადმოიტანოს. ქნა, როგორც „ტფილისის ფურცელი" გვაუწყებს, მამა ღამბაშიძეს უკვე მიეღოს ნება-რთვა და სადაც არის, თავის რედაქციისა და სტამბის ტფილისში გადმოიტანს. მამა ღამბაშიძეს რედაქციისთვის ტფილისში სახლი შეუძენია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ჯიმითი (სიღნაღის მაზრა), 10 მკათათვე. ჩვენი მხარე, უკანა-მხარი, წელს ვენახების სამწუხარო სურათს წარმოადგენს: მოსავალი წელს პირველ შემოდგომა სწორეთ რომ კარგს შთაბეჭდილებას ახდენს: შეხედე ყანებს, ვენახებს, მოგეწონება გარეგნობით. ყანები ოქროს ფერად ჰღელავენ, ტანიცა და ფერიც კარგი აქვთ, მაგრამ რაც საჭიროა, ის-კი აკლიათ, ე. ი. მარცვალი.

შარშან, მახსოვს, რომ ათეულზე, კოდ-ნახევარი თუ არა, ერთი კოდი მაინც გვიდგებოდა, წელს-კი ხუთ ათეულს თუ ერთი კოდი დაგვიდგა, ისიც კარგი ღვთის წყალობა იქნება. მომეტებული ნაწილი ვენახებისაც ან შენაცრულია, ან სხვა ჭირით არის მოდებული. გაზაფხულის მოსავალს, სიმინდსა და ფეტვებს ჯერ კარგი პირი უჩანთ და შემდეგ, ღმერთმა იცის, რა იქნება. რაც შეეხება თივის მოსავალს, იგი სწორეთ საუცხოვოა: წელს იმდენი თივა გაითიბა, რომ ორ-სამ წელიწადს ეყოფათ. გასათიბიც კიდევ ბევრია და სთიბვენ კიდეც. ერთის სიტყვით, მოსავლით ხალხი ასე თუ ისე კმაყოფილია; ზოგს შარშანდელიცა აქვს.

უბედურება ისაა, რომ აქაურს სოფლებს საქმეს უჭირებს უგზობა და უწყლობა. აქაური გზები, მეტადრე სოფ. ჯიმითისა, სწორეთ რომ ეშმაკის ფეხის მოსატეხია. მიკვირს, ხალხი როგორ დაიარება, ან ურმები როგორ მიაქ-მოაქვთ. სხვა სოფლებში კიდევ, მადლობა ღმერთს, ცოტათი მაინც უწვალნიათ მცხოვრებლებს და, როგორც შესძლებიათ, ისე გაუკეთებიათ. მაგალითად, სოფ. კაჭრეთში. იქაურ მემამულეთა თავ. ანდრონიკაშვილების მეცადინეობით, კაჭრეთელებმა თავისთვის რიგიანი გზა გაიკეთეს. ამ გზით ჯიმითელებიცა სარგებლობენ, თუმცა არავითარი შრომა და ხარჯი არ გაუწევიათ. ან-კი საკვირველი არ იქნებოდა ჯიმითელებისაგან? თუ-კი თავიანთვის არ იკეთებენ გზას, სხვის სოფლის გზის გასაკეთებლად თავს რად შეიწუხებდნენ?!

დიდის მადლობის ღირსნი არიან ზემოხსენებულნი თავადნი ამ გვარის მეცადინეობისათვის.

მე ვფიქრობ, ჯიმითის გზებს დასაბამიდგანვე არ მიჰკარებია არც ბარწერაქვი და არც ნიჩაბი. ჯიმითელებს ბუნებისათვის მიუნდვიათ თავიანთი გზის გაკეთება: მოვა წვიმა, მოვარდება ნიაღვარი, დახრამავს გზებს ისე, რომ კლდეებს დაამსგავსებს, და მაშინ არამც თუ ურმით გავლა არის გასაჭირი, არამედ ცხენითა და ფეხითაც ძნელია.

გადიღებს წვიმას და მცხოვრებლები ამ დახრამულ ადგილებს ამოავსებენ ნაგვით, ჭირისაგან დახოცილ ქათმით, მკვდარის კატებითა და ძაღლებით, ერთის სიტყვით, რაც რამ გადასაყრელია, ყველას გზებზე ნახავს კაცი.

რამდენ ნაირი ზარალი მოაქვს ამ გარემოებას სოფლისათვის, ვინ იცის და ვინ მოსთვლის: რამდენს გადაჰბრუნებია დატვირთული ურემი და ურემიც დამტვრევია და შიგ შებმული ხარკამბეჩიც დაზარალებია. ვისაც-კი ერთი ბეწო რამე გაეგება, ის ადვილად მიხვდება, რა დიდი უბედურებაა სოფლისათვის უგზობა, მეტადრე იმისთანა სოფლისათვის, რომელშიაც ოთხას კომლამდის ითვლება.

ეს სოფელი ადვილად გაიკეთებს რიგიანს გზას, თუ-კი მოთავე კაცი ეყოლება. იმედია, რომ მოთავე კაცებიც აღმოჩნდებიან. ჩემის აზრით, ამ მოთავე კაცებად იქმნებიან მაზრის უფროსი და ადგილობრივი ბოქაული, რომელიც თითონ ჯიმითში სცხოვრობს და ხედ-მიწევნით იცის ამ სოფლის გარემოება. პატივცემული მაზრის უფროსი გულ-მოდგინედ იკვლევს თავისის მაზრის ვითარებას, იმის ავსა და კარგს. იმან თითქმის ყველა სოფლები დაიარა და, უეჭველია, გაიცნობდა იმათს საჭიროებას. დარწმუნებული ვარ, იმის ყურადღებას არ გამოეპარებოდა ის გარემოება, რომ ჩვენებურს სოფლებში ხალხი ერთობ შეწუხებულია უგზობით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საჭიროებას ყურადღება ექნება მიქცეული და აქაურს სოფლებს გააკეთებინებენ რიგიანს გზებს. სოფელი სიამოვნებით აასრულებს მაზრის უფროსის ბრძანებას და შემდეგ დიდის მადლობითა და ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებს იმის სახელს. საჭიროა მხოლოდ თქმა და მოთავეობა. ამ ცოტა ხანში თითონ მაზრის უფროსი იყო სოფ. ჯიმითში და თავისის თვალით ჰნახავდა ამ გაჭირებას სოფლისას.

—

უკანა-მხარში წყალიც ძალიან ნაკლებად არის: წყალი აქ არამც თუ სარწყავად არ იშოვება, არამედ სასმელადაც ნაკლებადა გვაქვს. აქაური სასმელი წყლები—წყაროები საცოდავის სახისანი არიან. წარმოიდგინე, მკითხველო, პატარა ფერდობი, სადაც ნეკის სისქედ წყალი გამოდის, და ეს წყალი ჩადის ორმოსავით ამოთხრილ ადგილას. ამ ამოღრმავებულს ადგილში წყალი გუბდება, მცხოვრებლები დაგუბებულს წყალს ჰხურავენ ხეებით, ფიჩხებით და ზევიდგან აყრიან მიწასა და სტკეპნიან, რომ წვიმის წყალი არ ჩავიდესო. ამ გვარად კეთდება სასმელი წყარო, რომელსაც აქ „კოდს" ეძახიან. მაგრამ რას იტყვი, რომ ამ კოდში არ იყოს: ბაყაყი გინდა, შიგ არის; რა გვარი მწერი გინდა, რომ იქ არა ბუდობდეს. წვიმა გინდა, შიგ ჩადის და ჩააქვს ტალახი და სხვა უწმინდურება. ერთის სიტყვით, ყოველისფერი აქ მოიპოვება. ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ ძროხა, ცხენი, ვირი და სხვა პირუტყვი ამ წყალსა სმენ და რა ნაირადა სმენ? შეჰყოფენ შიგ თავს, ხშირად ფეხებსაც და ამ გვარად ისედაც ამღვრეულსა და უწმინდურს წყალს უფრო აუწმინდურებენ. აი სურათი ჩვენის სასმელის წყაროებისა! ახლა წარმოიდგინე, მკითხველო, რა სუნი, რა გემო და ფერი ექმნება ამ წყალს!

ჭეშმარიტად გასაოცარი კუჭი და აგებულება გვქონია, თორემ აქამდის რატომ რაიმე ჭირი არ გადაგვედება და სულ ერთიანად არ გაგვჟლეტს?

ვინ იცის, იქნება ამ ოთხი-ხუთის წლის წინად რომ რაღაც ჭირი ეწვია ჯიმითს და ორ-სამ თთვეში ას ორმოცზე მეტი სული იმსხვერპლა, შედეგი იყო იმ უწმინდურის წყლისა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალი უფროსი მაზრისა ამ გარემოებასაც ყურადღებას მიაქცევს და ხალხს უბრძანებს, რიგიანად მოიწყოს თავისი სასმელი წყაროები.

ხალხი ამ გვარს შემთხვევაში ცოტა ზანტია. იგი ასე სჯის: „ეე! მამა-პაპა თუ მაგ წყალსა სვამდა, იმიტომ ვერა სცოცხლობდა დიდხანს?! სადა გვცალიან წყლის გასაკეთებლადაო!"

ჩვეულება სჯულზედ უმტკიცესიაო, იტყვიან და მართალიცაა. რა კი ხალხი ერთი და ერთი მიეჩვია ამ გვარს ცხოვრებას, იგი ყოველს ახალს საქმეს, რაც უნდა ფრიად საჭირო და ადვილი ასასრულებელი იყოს,

---

დო. გაიცინეთ თქვენმა მზემ, მე ვიცი ქათიბით არ მაჯობოთ? არა, ვითომ რაო, რომ გაიცინეთ? ვითომ არ მოგეწონეთ, ჰო? რაში მოგეწონებათ თქვენ მელი ვაჟკაცი, ვაჟკაცობით განთქმული?! თქვენისთანა ლურჯ-ხორცეებს საჭმელად არც-კი ვიკადრებ, თქვე უბედურებო!..

ტრედებმა უფრო გაიცინეს. მელმაც სიცილი დაიწყო, რასაკვირველია, ძალა-უნებურად.

— თქვენ, ჩემო საყვარელო ტრედებო, მხიარულადა ბრძანდებით მეც მიხარიან, თქვენ რომ მხიარულადა გხედავთ, თქვენი მხიარულება მეც მამხიარულებს.... კარგები ხართ, ტურფები, მაგ პატარას-კი უფრო კაი ქათიბი აცვია, მაგრამ ეს თქვენ ორივეს გჯობიათ, მელმა უჩვენა ლალლზე. ჩამოდით, ვიცი ნამგზავრები იქნებით, დაღალულები, მეწვიენით, აი ეს ლალლა ღმერთმა მომცა, თქვენც წილი გდებიათ...

— მეხი შენც დაგეცა და შენთან ჩამომსვლელსაც, უპასუხა მაღლიდამ დედა-მტრედმა. შენისთანა ქეციანი მელები ჩვენ ვერ მოგვატყუებენ, ვაჟბატონო!..

— ახლა ქეციანიც გამხადეთ განა? სთქვა მელამ: ეჰ, შვილოსან, წახდა დროება, ახლა მასხარადაც ამიგდეთ, რალა?!. თქვენ რომ თავს გიყადრებთ, კიდეც იმიტომ მოუმატეთ სხილ-სხვილად ფქვასა! არა, თქვე საწიწაკეებო, რაც უნდა ბეჩავი ვიყო, თქვენ აღარა გჯობივართ, თქვე მაწანწალებო, თქვენა? მელმა კბილები გაუკრაჭუნა... სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, განაგრძო მელმა: თქვენსავით ხომ ბინას არ ვიცვლი, არ დავეთრევი წარა-მარად. მე ეს გაღმა-გამოღმა მხარე მიჭირავს და ღმერთი აქაც არ მაკლებს ლუკმას, მუდამა მაქვს საზრდო ზამთრისაცა და ზაფხულისაც.

— ვაი მაგისთანა ლუკმასაო, უპასუხა დედა-ტრედმა: შენც მითომ თავს იმითი იწონებ, რომ ალალის ოფლით ლუკმასა სჭამ? შე ათასის ცოდვის მომქმედო, შე გაიძვერავ, შე მოსისხლევ! რამდენის ფრინველის ცოდვა გაძევს კისერზე, აბა მოიფიქრე. ჯერ ერთი ეს ლალლა. რა დაგიშავა მაგ საცოდავმა, რომ დაგიჭერია და უნდა გადაჰყლაპო?..

— ჰაი გიდი, მართალნო, სთქვა მელმა ღიმილით: მე აბრუ მაქვს გატეხილი, ჩემი ცოდვა ცოდვადა სჩანს და თქვენი ცოდვა-კი მადლად. თქვენ მშვიდს ტრედებს გეძახიან და თქვენოდენა ზარალს-კი ვინ აძლევს ქვეყნიერობას, თქვე წუწკებო. რათა, ჩემო ძმაო, ნათქვამია—ქუდი დადე და სამართალი ჰქენო. თქვენ რამოდენა კაცის ამაგს აფუჭებთ, რაც პურს დასთესავს ხალხი, ნახევარს თქვენა ჰკენკავთ. რამდენი ოფლი და სისხლია იმ მარცვლებში?!. ჭია-კი ცოცხალი არსება არ არის, რომ გადაჰყლაპავთ ხოლმე, ეგრეთვე თუ ბუზი? ალბათ ცოდვად იმიტომ არ გითვალისთ კაცი, რომ სისხლს ხორცს თან ჩააყოლებთ ხოლმე, სისხლის ნიშანი არა რჩება გარეთ მიწაზე... და ჩემს ჩანადენს საქმეს-კი სისხლის გეში დასდევს თანა. ეჰ, რა უთხრა კაცის სამართალს!.. ქვეყანაზე მართალი არავინაც არ არის, თუ მე მკითხავთ, ისეთი მართალი, რომ ცოდვას არა სჩადიოდეს. თქვენ მელას ვერ მასწავლით ჭკუასა და ქვეყნის ავკარგიანობას, ვერ მომატყუებთ, შვილოსან, ვერა!.. ან გაიძვერა რადა ვარ, ჩემო ძმაო! თავის სარგებლობის გულისათვის ყველაც გაიძვერა ხართ... აი ეს ლალლა თუნდა, ამაზე გაიძვერა ვინლა იქნება. რაც ეს დაძვრება ჩალებში, რა ვაცი. თავისი ბრალი არ არის, რომ მე ჩამივარდა ხელში? ხომ იცის, რომ მე მტერი ვარ, რად იძინებს ისე ბრიყვად უადგილო ადგილას... აბა თქვენ, ჩემო ტრედებო, რატომ არ დაგიჭირეთ? თქვენ მაღლა ხეზედა სხდებით და იმიტომ. სამოცის წლის მოხუცი ვიქნები და ჯერ ტრედის ხორცის გემო არ ვიცი როგორია. რადა? იმიტომ რომ თავის მოვლა და გაფრთხილება იცით, ეხლაც რად მელაპარაკებით მაგრე სხვილ-სხვილებს ? ხეზე სხედხართ, იცით მანდ ვერ ამოვალ და იმიტომ. დაბლა რომ იყვნეთ, იმედი მაქვს ამოგაშხამებდით ჩემს შეურაცხებას . . . მისალმების მაგიერია, შორის გზის მგზავრები ხართ, მშვიდობის ამბავს-კი არა მკითხავთ, მომიყევით მხილებას და დარიგებას მაძლევთ. ეჰ, მშვიდობით, გამარჯვებით იყავით, მე ჩემს გზას გაუდგე, ის მირჩევნიან.

ტრედებმა კიდევ სიცილი მიაყარეს. მელმა გასწია, მაგრამ, გულში ცეცხლი დაენთო შურისძიებისა: თუ თქვენი ჯავრი არა ვჭამო, ამბობდა მელი თავისთვის: ცოცხალი აღარ ვიყოვო. გადაიარა ტყიანი გორა, შეუდგა ფერდოს და გავიდა ღგნალიაში. „წიი", «წიი»-ო შეესმა: მიიხედა და ჰნახა, რომ წიფლის ტოტზე ძერა იჯდა და გასწიოდა.

— რასა ბღურტუნ - ბლუკუნებ, შე საბრალოვ, შენა, შეუძახა მელმა: ხომ ვიცი გშიან. რომ ჰღრიალებ და ჰყვირი, მაგითი გინდა საჭმელი იშოვო?! თავი და ტანი საკმაო მოუცია ღმერთს შენთვის და ჭკუა-კი გამოუწირავს, შე ტკიპიანო, ტკიპების გამოხრულო!

— რა არის, რა ამბავია? გამოსძახა ძერამ კისრის გადმოწევით.

— აქ არა სწიოკობდე, უპასუხა მელმა: წახვიდე, ემანდ გორას იქით ორი ტრედი ზის თელაზე დაღალულდაქანცულები, ვერ გაგიფრინდებიან. ერთი ბღარტია და ის უფრო ვერსად წაგივა, სწორედ შენის სიფიცხისა და სიმარდის საფერია. აბა, ვინძლო ბედი არ დაჰკარგო, აჩქარდი!

— აი მადლობელი, ჩემო მელო, მიუგო ძერამ: ძმა ძმისთვისა და ამ დღისთვისაო. მშიან და ევრე. მადლობელი, ჩემო ძმობილო, დიდი მადლობელი. ძერა აფრინდა და გასწია იქით, სადაც ტრედები ასწავლა მელმა. ჯერ მაღლა იტრიალა თელის თავზე, ვითომ - და აქ არაფერიაო. მერე უცბად შეიკუმშა მხრები, რაკი ამოირჩია მსხვერპლი, წამოვიდა დაბლა, დაეცა შვილს ტრედს, დაიჭირა და გასწია. დედა-ტრედმა შეჰქნა ტირილი, გოდება, მისდევდა უკან ძერას ხვეწნითა და მუდარით, მაგრამ ამაოდ. ძერა ხან ერთგან ჩაჯდებოდა, ხან სხვაგან და ჩაჰკრავდა ტრედს ნისკარტს თავში, რომ სული დაელევინებინა. დედა-ტრედმა მოიშველია წყანწყარა ჩიტებიც, იმათთან ერთად გამოუდგა ძერას, მაგრამ მაინც იმათი ხვეწნა-მუდარა ტყუილი ღა იყო. ძერა თავისას არ იშლიდა. იმან თითქმის ზეზეულად შეჭამა დედის თვალწინ ტრედი. მელი ამ დროს ერთს სერზე იყო წამოკუნტებული, სეირს უცქეროდა და სიცილითა ბნდებოდა... მელმა გული მოიფხანა, ტრედების ჯავრი ამოიყარა: „წელან ჩემზე რომ იცინოდით, ეხლა მე ვიცინებ თქვენზეო", სთქვა დაკმაყოფილებულმა ცხოველმა.

დედა-ტრედი დარჩა მარტოკა. შვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონ ხელს არა ჰკიდებს, თუ ჩამჩიჩინებელი არა ჰყავს, მეტადრე იმისთანა სოფელში, სადაც ოთხას კომლში ოთხმა არ იცის წერა-კითხვა.

„მამულო საყვარელო, შენ როს-ღა აჰყვავდები!"

ჭიარელი

# უცხოეთი

ინგლისი. დედოფალს ვიქტორიას ექიმები ურჩევენ ამერიკასა და კანადაში წავიდეს: ასეთი მოგზაურობა მოგიხდებათ და დიდად არგებს თქვენს დასნეულებულს ჯანსაო.

— გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II დღეს ინგლისშია, საცა თავის დედისა და დიდი-დედის სანახავად წავიდა მაგრამ იმათ ნახვის გარდა, უთუოდ ის აზრი ექმნება, რომ ინგლისის მომხრეობა მოუპოვოს სამთა კავშირს შუა ევროპაში. მართალია, მარკიზმა სალისბერიმ სთქვა გერმანიის იმპერატორის მისვლამდე ლონდონში, რომ ჩვენ არავითარს საბუთს არა ვხედავთ რუსეთისაგან ბალკანეთში საქმეების აწეწვისასაო, ჩვენის აზრით, რუსეთი ამ საქმეში კანონიერადა და წესიერად იქცევაო, მაგრამ, ვინ იცის, ახლა, რა-კი იმპერატორი გერმანიისა იქ არის, როგორ ჩააგონებენ საქმის ვითარებას ინგლისს. ისიც საეჭვო მბავია, რომ კარგი დარიანი დღე დაურჩათ და ბრიტანიის ფლოტის ალლუმი გაჰმართეს გერმანიის იმპერატორის თვალ-წინ. თუ გულში არა უდ[...]ს-რა მთავრობას, თუ ბალკანეთის საქმეში არასა ჰხედავს აწეწილ-დაწეწილობას, მაშ ასე რაღას აწონებს თავის ფლოტს გერმანიას და იმის გვირგვინოსანს ბატონს! აქ რაღაც საქმე თავს ვერ მოდის და ეჭვი იბადება, ამ დაგვიანებულს დარბაზობას გერმანიის იმპერატორისას ის ხომ არა აქვს საგნად, რომ ინგლისიც სამთა კავშირს მიემხროს და მერე ამ ოთხთა კავშირმა, როგორც უნდა, ისე გადააკეთოს რუკა ევროპისა...

— ისიც გეგონოს, რომ სპარსეთი სუსტი ქვეყანაა და ბატონი იმისი ნასრ-ედინი შაჰი საპოლიტიკო განზრახვით არ დადის ევროპაში სამეფოთა კარი-კარსაო, მაგრამ ახლა ნამდვილად-კი სულ სხვა სჩანს. იმის პირველ მინისტრს გამოთხოვებისას ლონდონში ისეთი სიტყვა უთქვამს ინგლისის მინისტრებისათვის, რომ საპოლიტიკოზე უფრო საპოლიტიკოა. დარწმუნდით, ლორდებოვო, რომ სპარსეთი ისე უცქერის ინგლისს, როგორც მეგობარსა, მფარველსა და თავის ქომაგსაო, უთქვამს სპარსეთის მთავარ-მინისტრს. რაც სერ დრუმონდ-ვოლფმა გვიამბო თქვენის სიმდიდრისა და ძლიერების ამბავი, ის ნახევარიც არ არის იმისი, რასაც ახლა თვით ჩვენა ვხედავთ ჩვენის თვალითაო. ეგრე იცის დიდმა კაცმა: სიმდაბლისა გამო ყველაფერს არ ამბობს, რაც დიდებულობა აქვსო. რაც უნდა ბევრს გვემუქრებოდეს ვინმე, ჩვენ ისე არ დავძაბუნდებით, რომ პასუხი არ მივცეთ, თქვენის მფარველობითა და შეწევნით დაიმედებულნიო, თქვენ ძლიერი მუხა ხართ და ჩვენ სვია, რომელიც ამ მუხას ზედ ახვევია. თუ სვამ მიაღწია დაბალს შტოებს მაინც იმ ბრიტანიის დიდებულის მუხისას, შემოეხვია გარშემო და თავისი ბედი იმის ბედს დაუკავშირა, ოდესმე განთქმული სპარსეთი კვლავ აჰყვავდება და სახელი მისი წინანდებურად ქუხილს დაიწყებს მთელს აზიაშიო.

— როცა ასეთის ხშირის ხოტბით ამკობდა მთავარ-მინისტრი ირანისა ბრიტანიას, იტალია იმის განსჯაში იყო, ინგლისს სუსტი ფლოტი ჰყავსო და თუ ვინიცობაა ომი ასტყდა და საფრანგეთი ჩვენ საზღვრებს მოადგა თავის ძლიერის ფლოტით, ინგლისის ძველებურის წესით მოწყობილი ფლოტი ხომ ვერ დაიცავს ჩვენს სამშობლოსაო, ამიტომ იტალიას გადაუწყვეტია გააძლიეროს თავისი ფლოტი და დღეს ამ საგანს დიდ-ძალს ფულს თურმე ანდომებს იტალიის მთავრობა და დღე და ღამ გაცხარებით ამუშავებს ხალხს ფლოტის გასაძლიერებლად.

ავსტრი-ვენგრია. ყველამ თავში ქვა იხალოს და ჩვენ-კი ჩვენს საქმეს ვეცადნოთო, ასე ჰფიქრობს ჩეხიაში ახლად გაძლიერებული დასი მლადო-ჩეხებისა და იმათი მოთავე დოქტორი გრეგრი. რაკი სეიმის არჩევანებზე ამ დასმა გაიმარჯვა და სტარო-ჩეხები დაამარცხა, ახლა მლადო-ჩეხები უფრო გათამამდნენ და დიდის მხნეობით ითხოვენ ისეთსავე პარლამენტს ჩეხიისთვის, როგორიც ცალკე ავსტრიასა აქვს და ცალკე ვენგრიას. ამას გარდა იმპერატორები პრაღაშიაც უნდა დაგვირგვინდნენ ხოლმეო. ერთის სიტყვით, ამ ბოლოს დროს, სულ ორი-სამის წლის განმავლობაში, ეს ახალი დასი, რომელიც დიდს ავტონომიას ითხოვს თავის სამშობლოსათვის, ისე გაძლიერდა, რომ დიდს ფიქრში ჩაცვივდნენ, როგორც ავსტრიელი გერმანელები, ისე სტარო-ჩეხებიცა, რომელნიც მეტად ფრთხილნი არიან და სულ მთავრობას ელაქუცებიან.

## ჯალათი

ყმაწვილი კაცი გვერდზე უჯდა ქალს იმ ოთახში, რომლის კედლებიც ატლასით იყო მორთული. მკვლებურს საქსონიის ვაზებში ია და ზამბახი იყო ჩადგმული და ირგვლივ სურნელოვანებასა ჰფენდა. საათზე გამოხატული იყო ამურები, რომლებიც ყვავილებში ცელქობდნენ და თამაშობდნენ, თითქო მსწრაფლ წარმავალს დროს დასცინიანო. ქალი ტახტზე იყო გადაწოლილი და ეალერსებოდა თეთრს კატას, რომელიც თავის ქალბატონის ფეხთან თამაშობდა და ჰკნაოდა. ყმაწვილს ქალს სახე გაფითრებული ჰქონდა, თავში ათას გვარი ფიქრი გაჰქცეოდა და მოსვენებას არ აძლევდა; ხშირი და შავი თმა ლამაზად გადმოსწვდოდა თვალებთან; იმის წერწეტა ტანს დამშვენარ ყვავილთა ნელი სურნელოვანება ესვია გარშემო...

კაცი ახალგაზდა აღარ იყო, თმებს აღარა ეღებებოდა-რა, წარბები მოეღუშა და ისე შესცქეროდა ქალს.

— მაშ ეგრე, გადაწყვეტილი გაქვთ და არასოდეს არ შემიყვარებთ.

— არასოდესო! უპასუხა ყმაწვილმა ქალმა მხრების უსიამოვნო აშმუშვნით: რამდენჯერ მითქვამს, მაგრამ ვერ დაგაჯერეთ. თქვენ ყველამ თავი მომაბეზრეთ, ყველანი მე მომდგომიხართ და დღე უოველ ერთი და იგივე უნდა მკითხოთ, თითქოს მაგის მეტი სხვა საქმე აღარა გქონდეთ-რა. მე თუ შევიყვარებ, ისევ რომელსამე განსაკუთრებულს კაცს, ისეთას, რომელიც სხვას არ ეგვანება. როგორ მოვიწონებ იმ კაცს, რომელმაც „გეთაყვანები"-ს მეტისა აღარაფრის თქმა არ შეუძლიან... თქვენ ხომ სულ ვერ მიცნობთ და, მართალი გითხრათ, ვნანობ კიდეც, რომ ნება მოგეცით აქ მოსვლისა და გაგეცანით!

— მაგის მეტს აღარას მეტყვით, ეგ არის თქვენი უკანასკნელი პასუხი?

— ეს გახლავთ...

— მაშ კარგი, რაკი ეგრეა, იცოდეთ აღარ შეგიცოდებთ, აღარ შემებრალებით და განხიებთ, ქალბატონო, რომ თქვენს ოჯახში ისეთებსაც-კი აძლევთ შემოსვლის ნებას, რომელთაც სულ ვერ იცნობთ... მხოლოდ იმისთვის სწადიხართ ასე, რომ თეატრში დავიწყებული მარაო მოგიტანონ... ხომ მაგდებთ, კარგი, გამაგდეთ, მაგრამ ამ ოთახის დირესაც არ გავცილდები ისე, რომ ჩემი ვინაობა არ შეგატყობინოთ!

— განა თქვენ მარტელი არა ხართ?

— ჯალათი გახლავართ, ჩემო ბატონო!

ამ სიტყვებზედ ყმაწვილი ქალი წამოდგა, წელში გაიმართა და ფერი უფრო დაეკარგა, უფრო გადაჰკრა სიმკრთალემ.

— ჯალათი, თქვენა? მერე გაჰბედეთ და აქ... თქვენი ხელები, ვინ იცის, უბედურთა და, იქნება, უდანაშაულო სხვერპლთა სისხლშია ამოსვრილი?

— რა გაეწყობა! ლუზიურგის ამბის შემდეგ ეხლა ყველაფერი შესაძლებელია... მაგრამ მაინც სულ არა მაქვს წარკვეთილი, მე ჩემი ხელობა მიყვარს და მარტო ის-ღა მართობს, გულს მიამებს და მინუგეშებს, როცა დასასჯელის კისერთან მიტანილს გალესებულს დანას დავინახავ ხოლმე...

— ოჰ, რა საშინელებააო! ჩაიბუტბუტა შეშინებულმა ყმაწვილმა ქალმა.

— მშვიდობით, ჩემო ბატონო, მშვიდობით, სამუდამოდ გეთხოვებით. შეიბრალეთ ის უბედური და თქვენის სიყვარულით გატაცებული კაცი, რომელმაც სხვისის სახელით ისარგებლა, რომ თქვენთან დაპარაკს, თქვენს ნახვას ჰღირსებოდა... წავალ, მოგშორდებით რაც შეიძლება ჩქარა, ვიდრე მოსამსახურეებისთვის არ გიბრძანებიათ ჩემი აქედგან კინწის კვრით გაგდება...

— მოიცადეთო, შესძახა ყმაწვილმა ქალმა: წასვლას მოასწრობთ. თქვენ მე ცნობის-მოყვარეობა გამიღვიძეთ, ჩემი ყურადღება მიიქციეთ და ამიტომ მინდა გელაპარაკოთ ცოტა ხანს მაინც... რას მიეჩქარებით...

— იმას მივეჩქარები, რომ მეშინიან არ შეგაწუხოთ, თქვენი დანახვაც-კი აგუნებადა მხდისო, თქვენ თითონვე მითხარით... ჩემი აქ ყოფნა შეურაცხჰყოფს აქაურობას!..

ყმაწვილმა ქალმა გაჯავრებით დააბაკუნა ფეხი:

— არა, არა, ნუ წახვალთ, მე არ მინდა, რომ წახვიდეთ. ჩემთან დარჩით, გევედრებით, მინდა მოგელაპარაკოთ.

— ჰა, მაშ შემიყვარებ? წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა და გულზე მიიკრა ათრთოლებული ქალი.

— ჰო... შეგიყვარებ!.. შენ მე სასჯელის ამბებს მომითხრობ ხოლმე, არა?

—

გაიარა მშვენიერმა დრომ, პირველმა თოვლმა ამ შეყვარებულთა ერთად ცხოვ-

---

ლის ბუმბული-ღა დაიტირა საცოდავმა, ადგა და გასწია მწუხარემ, არსად აღარ დაუსვენია. შეუპოვრად, უდიერად მიფრინავდა, ისიც სიკვდილსა ნატრობდა და ნუგეშად მხოლოდ თავისი ბუდე-ღა მიაჩნდა, სადაც შვილიერობის იმედი ჰქონდა. ბევრი იარა ტრედმა: სად წყალი გაველო, სად მთა და ველი, სად ტყე და სოფლები და როგორც იყო მიაღწია საბრალო ტრედმა ალთქმის ქვეყანას. იგი დაჯდა მთის პირად ერთს ხეზე, საიდამაც მოსჩანდა სოლქა და ის ქორაფი, რომელზედაც ტრედს ბუდე ჰქონდა გაკეთებული. ქორაფი იცნო ისევ ტრედმა, იგი ამაყად იდგა და თითქოს წინანდელზე მოემატა კიდეც სიმაღლით. ქორაფი ერჩეოდა მთელს ტყეში, ტრედს გულში ნათელი ჩაუდგა. იმან დაინახა თავისი საყვარელი წყაროც. სათავე იმისი არა სჩანდა, მაგრამ სიპით დაფენილი კალაპოტი-კი კარგად მოსჩანდა, ლამაზად ეტყობოდა როგორ გადაჩანჩქარებდა წყარო ქვეით კლდეზე. ტრედს გული დაუმშვიდდა, ცოტა ხანს გადაავლო თვალი მშობელს, ნაცნობს მიდამოს. ცოტა ხანს იყო მხიარულად და მერე შვილი მოაგონდა.

— საბრალო ჩემო შვილო, სთქვა ტრედმა ამოოხვრით: შენ-კი არ გეღირსა შენის სამშობლოს თვალით დანახვა. აქ გაგზარდე, წაგიყვანე და გზაზე სიცოცხლე მოგისპე... რასა ჰგავს, რა არის ჩვენი სიცოცხლე? რა სიცოცხლეა ტრედების სიცოცხლე? ღმერთს ჩვენთვის რაღაც ნაირი მხატე, ნებიერი, სუსტი და მომთმინო ბუნება მოუცია, ხმას ვერავის გავცემთ, ხელს ვერ შეუბრუნებთ ჩვენს მტერს. უხეირო ძერა მითხარ, ისიც უნდა ტრედებსა სჭამდეს?.. ვაი ჩვენო სიცოცხლევ, ვაი ჩვენო ყოფავ! ვჩნდებით და ვიზრდებით სხვის ყმად, სხვის საჭმელად, სხვის ტყლაპად!

ტრედი მხიარულად მიფრინდა ქორაფთან, თავზე მოევლო, რამდენიმე კამარა გააკეთა ქორაფის თავზე და მხარ-გაშლილი დაეშვა და დაჯდა კენწეროზე. სწორედ სამოთხესა ჰგავანდა ეს არე-მარე. ბევრს ფრინველს მოეყარა აქ თავი თავს: ისმოდა ჩიტთა სტვენა, კოდალის ნისკარტის ჩქამი, ტრედების ღუღუნი. ჩვენს ტრედსაც მოუნდა ძალა-უნებურად ბანის მიცემა და ამანაც დაიღუღუნა მწუხარედ.

— ეგ ვინ-ღა ოხერია?! მოისმა ძირის ტოტებიდამ ხმა: აქ ვის კარმიდამოში ხარ აგრე თამამად, ტრედო? შენ სიცოცხლე ხომ არ მოგჰბეზრებია?! ტრედმა ხმა გაკმინდა, ძირს დააცქერდა. საზარელი სურათი ნახა. იმის ბუდე ის ბუდე აღარ იყო, რაც ტრედმა ჩადგა, ქორს დაესაკუთრებინა, გაეფართოვებინა, მსხვილის წიწკრებით გაესხვაფერებინა, საზარლად შემოჰბღვეროდა, მოლეშების სუნი შემოებნია, რაღაც მქისე და საძაგელი, და ბლარტებიც გამოეჩიკა. ყვითელი თვალები ქორს დაშტერებით, ისრებივით მიეპყრო ტრედისთვის. პატარა ქორებიც ქორულად და შმაგად იცქირებოდნენ.

— შე ბრიყვო, შე სულელო, იქამდისაც გათავხედდი, რომ კარებზე მიხტებიო? შემოსძახა ქორმა და შემოუტია ტრედს. ტრედი გაუფრინდა და ქორიც უკან გამოეკიდა. ძალს ქორი და ძალს ტრედი, იბრძოლეს, ერთი იპერდა, მეორე გახვეწებას სცდილობდა. ტრედი მაინც გაეხვეწა, მაგრამ გასცდა ამ თავის სამშობლოს და ვენახებში შეფრინდა. ტრედი ცოცხალ-მკვდარი იყო: „ერთი ბუდე მქონდა და ეგეც შემშურდა ჩემთვის მაგ ღვთისაგან წყეულს, მაგ დღე-დალეულს... რამდენია სხვა ხე, მაგრამ რა-კი შხამი უდგა გულში და შხამით ხორც-შესხმულია, ტვინადაც შხამი უძევს თავში და უნდა იმ შხამით სხვაც მოშხამოსო!" ტრედი ვენახში შეფრინდა. გლეხმა ჰკიგო წამოუსო, მაგრამ აალდინა. ვენახიდამ ტრედი არხის პირას ტირიფზე შეჯდა, იქ პატარა ბიჭი დაუხვდა მშვილდისრით და ისარი ესროლა. ტრედს მაინც ღვთის კალთა იფარავდა. ტირიფიდამ ორ ლობეების ვენახების შუაზე ლორებისაგან ნაჩიჩქნს მოსახნავს მიწაში დაჯდა, ლორისაგან ამოღრუტნულს აღგილას ჩაიმალა. იქ ლორი დაუხვდა და წაეტანა დასაჭერად. ტრედს გული გადმოუბრუნდა, გზა-კვალი აერია, აღარ იცოდა საით წასულიყო და ფარფატებდა ხან აქ, ხან იქ. ბოლოს მღვდელ-დიაკვანს წააწყდა თავზე, მღვდელმა ჯოხი მოუქნია, მაგრამ ისიც ასცდა. ქათმებმა სოფელში წიოკი ასტეხეს, იმათ ტრედი ქორი ეგონათ. როგორც იყო, ტრედი სოფელს გასცდა.

—

სოფლის გაშორებით მაღლა გორაზე ყავრული სახლი მოსჩანდა. ეს სახლი ბატონისა იყო, ბოძები სახლს დაჰფუტფუტებოდა, ყავარიც დამპალი ეხურა ზედ, მაგრამ ნადიმობა-კი გამოულეველი იყო ამ სახლში. ბატონს სტუმრები ჰყვანდა, ჩანგისა და წინწილის ხმა მომღერალთა ქალთა ხმასთან შეერთებული ბუნებას ათრობდა. ბატონი გადაშლეპილისა და გადატელეპილის თავით სტუმრების თავეით იჯდა და შეაქცევდა. იგი ვაჟკაცობის მიმდევარი იყო და წამოიკვეხებდა ხოლმე ცხენზე ჯდომას, თოფის სროლას. უყვარდა დაკვეხება მაიულებით, თუმცა იმის ქალაში ოცს ხეზე, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ოცს ჯაგზე მეტი არ იდგა. ერთი დურბინდიცა ჰქონდა ბატონს, რომლითაც მუდამ ძილის შემდეგ ამ ოცს ჯაგს ათვალიერებდა, და თუ ვისმე დაინახავდა ქალაში შესულს, შეუკივლებდა ბიჭებს და გააბაწვრინებდა. ხშირად მოიგონებდა ხოლმე და მოაგონებდა თავ-მოწონებულს სტუმრებს, თან ფართო ეზოზე უჩვენებდა: „რამდენი დარბაისელი გლეხი წამოგვიქცევია, ვაჟო, მანდა და მიგვირტყამს როზგი. ეჰ, რა დროება იყო და წაგვივიდა ხელიდამ!" ამას რომ იტყოდა, თან ღრმად ამოიკვნესებდა. ბატები და ინდოურები ძლიერ უყვარდა ბატონს. ალბად თუ რამ გადურჩათ იმათ, რომ ამ ნარჩომმა ჩვენი ტრედიც მიიტყუილა. ჩვენი ტრედი ბატონის ეზოში მიფრინდა და დაიწყო ცუცუნი, მარცვლების კრეფა. ბატონმა შენიშნა ტრედი და მოიკითხა თავისი თოფი. მოართვეს გრძელი და ვერცხლის სალტებიანი სიათა.

— აბა, თუ კაცი ხარ, ზაალ, აბა თუ კაცი ხარ, — მიაძახეს სტუმრებმა.

— ქალის ლეჩაქი დამხურეთ, თუ მაგას თოფი ავაცდინო. ბატონმა დაუჩოქა ტრედს, თოფი ტიის ხეზე დაუდო. თოფმა დაიგრიალა. ტრედი ადგილობრივ დარჩა და პირიდამ სისხლი გამოუვიდა.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს! იგრიალა ხალხმა, ტრედი მოიტანეს და ფეხით ხუფრის თავზე დაჰკიდეს... ყველანი მეტად გამხიარულდნენ. ტრედი მორჩა შიშს და ელდას, ეკიდა მოსვენებით, სტუმრები და ბატონი-კი გახურებულს „მრავალ-ჟამიერს" დასძახოდნენ.

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისამ. ქალი თავისნის სცემდა ამ „არა-ჩვეულებრივს“ ადამიანს, თვალ-წინ დაუდგებოდა ხოლმე იგი თავ-საკვეთთან მდგარი თეთრის ყელ-სახვევით და დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცის ხელები ბევრჯელ უნდა ამოვლებულიყოს ადამიანის თბილს სისხლშიო, ბევრის ადამიანის ტანჯვა უნდა ენახოს და ღამე საშინელი სიზმრები მილს უნდა უფრთხობდნენ და უშფოთებდნენო. უმაწვილი ქალი ნანობდა, რად აღკრძალეს ადამიანის წამება, ოთხად ქცევა, ტყავის გაძრობა და ათასი სხვა საშინელი სასჯელი... რომ არ აღეკრძალათ, რამდენს საზარელს ამბავს გავიგონებდიო!

შეყვარებულნი იშვიათად დადიოდნენ ერთად სადმე: კაცი ეუბნებოდა, რომ მეშინიან არ დამინახონო, და ქალიც მალას არ ატანდა, თუმცა-კი დიდის სიამოვნებით გაიტეხავდა სახელს, ოღონდ-კი ეთქვათ, რომ ჯალათსა ჰყვარობსო.

— ყველას არ ეღირსება ის ბედნიერება, რომ ჯალათის საყვარელი შეიქმნასო! აღტაცებით წამოიძახებდა ხოლმე უმაწვილი ქალი.

ერთხელ ვაჟკაცი დასთანხმდა თეატრში გაჰყოლოდა ქალს. ლოჟაში რომ შედიოდნენ, ერთმა, ქალის ცოტად ნაცნობმა, კაცმა დიდის პატივისცემით დაუკრა ჯალათს თავი.

— ოჰო, იცნესო! იფიქრა ქალმა: როგორ უნდა ეწყინოს! ღმერთო, ნეტა-კი არ შემომწყრეს-და!

ქალმა ჯალათს რაღაც დაასაქმა და თითონ-კი, როცა მარტო დარჩა, ის ნაცნობი კაცი დაუძახა.

— მიკვირს, თავი როგორ დაუკარით, განა ამაოდ-მორწმუნე არა ხართ ამ შეთხვევაშიო? ჰკითხა ქალმა ნაცნობს და ხელი გაუწოდა.

— არ მესმის, რატომ არ უნდა დამეკრა თავი, ჩემო ბატონო, ბ-ნ მარტელისთვის, მაგ ფრიად პატივსაცემ კაცისათვის?

— რას ამბობთ, ეგ მარტელი-კი არა, ჯალათია!

— აი კაი ამბავი თუ გინდათ, ეს არის!.. მერე ვინ მოგატყუათ და ვინ გიხუმრათ აგრე?

— არავინ... მე თითონ მოვიგონე, ისე რაღა... ჩაიბუტბუტა ქალმა და გამოემშვიდობა ნაცნობს.

როცა სუტ-ჯალათი დაბრუნდა, ქალი გაფითრებული და გაბრაზებული დახვდა.

— თქვენ უპატიოსნო კაცი ხართ, ცრუ, მოღალატე, მოწყალეო ხელმწიფევ! დამარწმუნეთ ჯალათი ვარო და მეც შეგიყვარეთ... ამიერიდგან ჩვენ შორის ჩალა გამწყდარია და თვალითაც ნუღარ დამენახვებით...

ქალი გავიდა ლოჟიდგან და აღარც-კი მიუხედნია მარტელისაკენ...

მეორე დღეს ქალს ბრილიანტის სამკაული მიუვიდა, რომელზედაც დიდი ხანია თვალი ეჭირა და რომელსაც კარგა ხანს ჰნატრობდა. შემდეგ თვით მორტელიც გაჩნდა, დაიჩოქა ქალის წინ და სთხოვა, რომ მაპატიეო.

— ვიცოდი, რომ არასოდეს არ შემიყვარებდი, უბრალო მომაკვდავი რომ გგონებოდიო, ეუბნებოდა მარტელი და თან ჰკოცნიდა: შემინდე, რომ ჩემის თავის მეტს ვერაფერს განაცვალებო.

— შემინდვიაო, უპასუხა ქალმა: მაგრამ ეხლა-კი ისე აღარა ვგრძნობ ჩემს თავს, როგორც აქამდის იყო, ისე-კი აღარ მეყვარებიო.

# დეპეშა

26 მკათათვე

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ დრომდე სახელმწიფო კონტროლიერის თანამდებობას ასრულებს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ფილიპოვიჩი.

რომი. ათინიდგან იუწყებიან, რომ იქ მრავალი კრიტელი მიდის, რის გამოისობით დანიშნულია კომისია, რომელმაც ბინა და მზრუნველობა უნდა აღმოუჩინოს კრიტელებს, კომისიის თავმჯდომარეთ იქნება მართლ-მადიდებელი არხიეპისკოპოზი. იტალიის ელჩი თანახმაა დაუთმოს კრიტელებს იტალიელების სკოლის შენობა. ამ გულ-კეთილობისათვის დიდი მადლობა უძღვნეს.

რომი მასოვოდგან იუწყებიან, რომ ამ თვის 22 იტალიის ჯარებმა დაიმორჩილეს აბაშეთის ქალაქი ასმარა. ქალაქს წინაალმდეგობა არ გაუწევია.

პარიჟი. დღეს დიდის ამბით აკურთხეს ახალი შენობები სორბონისა. კურთხევაზე დაესწრნენ პრეზიდენტი რესპუბლიკისა კარნო, მინისტრები და ზოგნი წარმომადგენელნი უცხო სახელმწიფოთა. კარნოს დიდის ამბით მიეგებნენ სტუდენტები. სამუნიციპიო საბჭოს პრეზიდენტი და საერო განათლების მინისტრი დიდის ამბით მიეგებნენ უცხოელ სტუდენტებს ქალაქისა და მართებლობის სახელით, როცა სორბონიდგან გამოვიდნენ, უცხოელ სტუდენტების დელეგაციებს ხალხი დიდის თანაგრძნობით მიეგება.

რომი. ოსმალეთმა გადასწყვიტა კუნძული კრიტი სამხედრო მდგომარეობაში გამოაცხადოს.

ათინა. უცხოეთის კონსულებმა მართებლობას თხოვნით მიჰმართეს, რომ საშუალება იხმაროს მუსულმანთა ძალ მომრეობისა და უწესოების მოსასპობლად.

პარიჟი. გუშინ საფრანგეთის ექიმებმა ნადიმი გაუმართეს რუსის ექიმებს, რომლებიც პარიჟში იმყოფებიან, იმ თანაგრძნობის სამაგიეროდ, რომელიც შარშან რუსებმა აღმოუჩინეს მოსკოვში. ნადიმზე მრავალი სადღეგრძელო დაილია რუსეთისა და საფრანგეთის მეგობრობის გასამტკიცებლად.

ლონდონი. საბერძნეთის მართებლობამ მიჰმართა დიდს სახელმწიფოებს და სთხოვა მათ რაიმე ღონე იღონონ წესიერების აღსადგენად კრიტში. საბერძნეთის მართებლობა ამბობს, რომ თუ ევროპამ თავი არ გამოიდვა, მაშინ საბერძნეთი იძულებული იქნება თავისი ქვეშევრდომები თვითონვე დაიცვას.

პეტერბურგის ბირჟა, 25 მკათათვე.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | „ | — | „ | 7 | 71 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | — | „ | 153½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — | „ | — | „ | 1 | 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 263½ | | — | „ | — | „ |
| — მეორისა | — | „ | — | „ | 245 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

მიმოსვლა ცეცხლის ნავებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულ-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ვაჟა-ფშაველას (ლ. რაზიკაშვილის)

„მოთხრობანი“

ფასი 30 კაპ.

ამავე მაღაზიაში ისყიდება ი. გ. ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნაამბობი“

ფასი 25 კაპ. (10—9)

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКIЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და ვასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | |
|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» | მან. კაპ. „ 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 |
| საყმაწვილო ამბები | „ 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ 80 |
| სურამის ციხე | „ 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა | „ 50 |

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დანია“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაუთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაური, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—16)

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—17)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ, პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, **№ 5.**

Доз. ценз. Тифлисъ 26-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე